Georgian جورجية

3 ერთღმერთიანობის ნაწილები

ალლაჰის ერთადერთობა იმით, რითაც ხასიათდება ძლევამოსილებიდან, თაყვანისცემიდან, სახელებიდან და თვისებებიდან.

ერთღმერთიანობა სამი სახისაა.

სახელთა და თვისებათა ერთღმერთიანობა.

ეს არის ალლაჰის ﷻ ერთადერთობა იმით, რაც საკუთან თავს უწოდა და რითაც დაახასიათა საკუთარი თავი მის წიგნში ან მისი შუამავალის ﷺ ენით. და ეს არის იმის დამტკიცება, რაც მან დამტკიცა საკუთარი თავის შესახებ და იმის უარყოფა, რაც მან უარყო საკუთარი თავის შესახებ, ყოველგვარი დამახინჯების და მოკლების, ყოველგვარი ფორმირებისა და დამსგავსების გარეშე.

თაყვანისცემითი ერთღმერთიანობა.

ეს არის ალლაჰის ﷻ ერთადერთობა თაყვანისცემით ან მონათა ქმედებებით.

ძლევამოსილებითი ერთღმერთიანობა.

ეს არის ალლაჰის ﷻ ერთადერთობა მისი ქმედებებით ან ალლაჰის ﷻ ერთადერთობა შექმნით, ფლობით და განმგებლობით.

რწმენის ხარისხი არის სამი.

სიკეთე

ეს არის ეთაყვანო ალლაჰს ﷻ თითქოს ხედავდე მას, და თუ ვერ დაინახავ მას, იცოდე ის შენ გხედავს.

ეს არის ერთი საყრდენი და მის ქვემოთ არის ორი ხარისხი

1. თვითხილვადი თაყვანისცემა, რაც არის ეთაყვანო ალლაჰს, თითქოს ხედავდე მას.
2. ყურადღებითი თაყვანისცემა, რაც არის თუ ვერ დაინახავ მას, იცოდე ის შენ გხედავს.

რწმენა

ეს არის ენით წარმოთქმა, გულით დაჯერება და სხეულის მიერ საქმით განხორციელება. მატულობს და კლებულობს.

6 რწმენის საყრდენები არის ექვსი

1. რწმენა ალლაჰისა
2. მისი ანგელოზებისა
3. მისი წიგნებისა
4. მისი შუამავლებისა
5. უკანასკნელი დღისა
6. და გწამდეს ბედისწერა, მისი სიკეთე და სიავე.

ისლამი

ეს არის ალლაჰზე ﷻ დამორჩილება ერთღმერთიანობით,მორჩილად მისკენ სვლა და მასზე რამის ჩაზიარებისა და ჩამზიარებელისაგან შორს დგომა.

5 ისლამის საყრდენები არის ხუთი

1. ორი დამოწმება.
2. ლოცვის შესრულება.
3. ზექათის გაცემა.
4. რამადანის მარხვა.
5. წმინდა სახლის მოლოცვა, ვისაც შესწევს ძალა.

4 აკრძალული ნაწილები

პატარა ცოდვები

(დიდ ცოდვების გარდა) დიდი ცოდვა წაიშლება პატიების თხოვნით. პატარა ცოდვა დაჟინებით დიდი ცოდვა ხდება.მაუწყებელმა ﷺ თქვა: (განერიდეთ ცოდვებს, რასაც არაფრად მიიჩნევთ, რადგან ისინი იქამდე გროვდებიან კაცში, სანამ მას არ გაანადგურებენ.)

დიდი ცოდვები

ყველა ის ცოდვა რაზეც დაწესდა კონკრეტული სასჯელი.მსგავსად, ჯადო, მშობლებზე ურჩობა, პროცენტი, მრუშობა, მამათმავლობა, ტყუილი, ღინინის დალევა, მოპარვა, გაჭორვა, სულის მოკვლა, რაც ალლაჰმა აკრძალა, გარდა სიმართლის აღდგენისა, და ობოლის ქონების შეჭმა.

პატარა (შირქი) თანაზიარობა

(არ გაჰყავს რწმენიდან, მაგრამ დიდზე დიდი ცოდვაა.)

• მსგავსად სიტყვისა: რაც ალლაჰმა ისურვა, შენც ის ისურვე.• ალლაჰის გარდა სხვაზე დაფიცება.• სხვის დასანად ქმედება.• ამულეტები, თანაზიარობის (შირქი) შემცველი.• ფრინველით მკითხაობა და პესიმიზმი.

• ხელის გული, მძივი და მათი მსგავსი რაღაცეების ჩამოკიდება, იმ მიზნით, რომ ისინი იცავენ ან იგერიებენ ავ თვალს.

დიდი (შირქი) თანაზიარობა

(რწმენიდან გაჰყავს და არ მიეტევება იმას, ვინც მასზე მოკვდება.)ვინმემ რომ დაუდგინოს ალლაჰს თანასწორი და ევედროს მას ისე, როგორც ალლაჰს ევედრება. ან ეშინოდეს მისი, ან მისი იმედი ჰქონდეს, ან ის უყვარდეს ისე, როგორც ალლაჰი უყვარს. ან აღასრულოს მისთვის თაყვანისცემის რომელიმე სახეობა.